შემოსავლების სამსახური

საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხი“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენის მომსახურების კონკურსის

საკონკურსო პირობები

სარჩევი

1. *ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის* _____ 2
2. *შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება* _____ 3
3. *საკონკურსო წინადადების ფასი* _____ 4
4. *ანგარიშსწორების პირობები* _____ 4
5. *საკონკურსო წინადადება* _____ 5
6. *საკვალიფიკაციო მოთხოვნები* _____ 5
7. *საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი და წესი* _____ 5
8. *დამატებითი ინფორმაცია* _____ 6
9. *სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი* _____ 7

ქ. თბილისი
2012 წელი

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

1.2 კონკურსის შეწყვეტა:
ა) საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.3 საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პირთან, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდება საკონკურსო კომისიის მიერ გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო პირობებში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.4 ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 2 %-იანი საბანკო გარანტია, რომლის ვადა 1 თვით აღემატება შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

1.5 კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, არ არის შედგენილი ამ წესის მოთხოვნათა დაცვით/ ან
არ შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ;
ბ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
გ) თუ ის არ დააზუსტებს შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას;
ე) თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;
ვ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საბაჟო გამშვები პუნქტის ,,ლაგოდეხი“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს არქიტექტურულ, კონსტრუქციულ, საინჟინრო (მათ შორის: ა) შიდა და გარე წყალ–კანალიზაციის პროექტი, ბ) ელექტროობის პროექტი, გ) სუსტი დენების პროექტი, დ) გათბობა–კონდიცირება-ვენტილაციის პროექტი), გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს, მ.ო.პ.–ს, პროექტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკს და ხარჯთაღრიცხვას.

პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა უახლესი და აუცილებელი მოთხოვნები, როგორც ვიზუალური ისე ფუნქციური თვალსაზრისით, რაც მაქსიმალურ კომფორტს უნდა უქმნიდეს მომხმარებელს.

საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ლაგოდეხი“, მდებარეობს ლაგოდეხის რაიონის სოფელ მაწიმში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. ობიექტის ტერიტორიის ფართობი ამჟამად შეადგენს დაახლოებით 4200 მ^2. არსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 350 მ^2, ამასთანავე გეითების გადახურვის ფართი შეადგენს 500 მ^2.

აღნიშნული შენობა-ნაგებობები აგებულია მეტალის კარკასითა და სენდვიჩ-პანელებით, ხოლო გეითების გადახურვა კი ლითონის კარკასით.

პროექტი გულისხმობს არსებული შენობა-ნაგებობების სრულ დემონტაჟსა და ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობას რომელიც განთავსებული იქნება 23300მ^2 ფართის ტერიტორიაზე.

შენობა უნდა შედგებოდეს ორი ცალ-ცალკე მდგომი შენობისაგან და მათ შორის მდებარე ექვს გასასვლელიანი გეითისაგან (ავტო-სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უზრუნველსაყოფად).

შენობა აღჭურვილი უნდა იყოს როგორც საოფისე ფართებით, ასევე თანამშრომელთა (მებაჟე და საპატრულო პოლიცია) მოსასვენებელი ოთახებით, სასადილოთი, კაფე-ბარით (მგზავრებისათვის), მოსაცდელი დარბაზით, ბავშვთა გასართობი კუთხით, სველი წერთილებით, საწყობებით (ჩამორთმეული ტვირთებისათვის) და ყველა საჭირო ტექნიკუტი აპარატურისა თუ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განსათავსებელი ოთახებით.

გეითებს შორის უნდა იყოს საპასპორტო კონტროლის ჯიხურები, რომლებიც მოემსახურება ავტო-სატრანსპორტო საშუალებებს.

ასევე, უნდა მოეწყოს სატვირთო ავტო მანქანების დათვალიერების ანგარი, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს დათვალიერების ორმოთი, გადახურული აივნით მანქანის ზემოდან დათვალიერების მიზნითა.

საბაჟოს ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ავტო სადგომი, გაჩერება მიკრო-ავტობუსის და ავტობუსისათვის, საჯარიმო სადგომი სატვირთო ავტო-სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ტერიტორიის გამწვანება და განათება.

არქიტექტურული გადაწყვეტა მომზადებული უნდა იყოს მაღალი ხარისხის შესრულებით და ახასიათებდეს თანამედროვე მსოფლიოს არქიტექტურული ელემენტები.

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული კონცეფცია, ვიზუალი და კონცეფციის განმარტებითი ბარათი. ზემოაღნიშნული უნდა გაერთიანდეს და წარმოდგენილ იქნას ერთიანი პრეზენტაციის სახით.

არქიტექტურული კონცეფცია და მისი შინაარსი წარმოადგენს ძირითად პირობას საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად.

კონკურსანტმა, კონცეფციის განმარტებით ბარათში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, სადაც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა, და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის გამოცდილებას.

მომსახურების გაწევისას კონკურსანტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დამატებითი ხარჯები, რომლებიც ასევე მოიცავს გეოლოგურ და ტოპოგრაფიულ მომსახურებებს.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

შესყიდვის ობიექტით განსაზღვრული პროექტი გამარჯვებულმა კონკურსანტმა შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში.

მიმწოდებელმა დაპროექტების პროცესში შემსყიდველთან ეტაპობრივად უნდა აწარმოოს ყველა ასპექტის შეთანხმება პროექტის საბოლოო სახით მიღებამდე.

3. საკონკურსო წინადადების ფასი

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 36000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

საკონკურსო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

საკონკურსო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

კონკურსანტმა სატენდერო წინადადების ფასში ასევე უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ხარვეზის/ნაკლის ან მოთხოვნილი ცვლილების ღირებულება, რაც შეიძლება შემსყიდველს გაუჩნდეს პროექტირების ან მშენებლობის პროცესში.

4. ანგარიშსწორების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელს შეუძლია გამოიყენოს ავანსი, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ოდენობით.

5. საკონკურსო წინადადება
(კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოსადგენი დოკუმენტები)

კონკურსში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკურ პირი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის შესაბამისადაც უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

1. ინფორმაცია კონკურსანტის ან მისი პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (წარმოდგენილ უნდა იქნას პორტფოლიოს სახით);

2. ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც შედგება საბაჟო გამშვები პუნქტის ,,ლაგოდეხი" ექსტერიერის ერთიანი კონცეფციის, განმარტებითი ბარათის და რენდერებისაგან.

3. რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (მე-2 პუნქტში მოცემული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით).

4. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა „შემოსავლების სამსახურიდან" ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა „შემოსავლების სამსახურიდან" ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

შენიშვნა: ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შეიძლება გაცემული იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებამდე არაუმეტეს 10 დღით ადრე.

7. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი და წესი

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

საკონკურსო წინადადებით წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

კონკურსანტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი

ქვითარი უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 31 ივლისის 10:00 საათიდან 2012 წლის 31 ივლისის 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გორგასლის ქ. 16, ს.ს.ი.პ. შემოსავლების სამსახური. შესყიდვების სამმართველო, ოთახი 11-7.

საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე.

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე პირი არ დაიშვება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.“

კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

8. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო პირობებთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემსყიდველ ორგანიზაციაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #16, მე–11 სართული. საკონტაქტო პირი: ეკა ძნელაძე, ტელ: +99532 261205

9. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "-----" ---------- 2012-- წ.
ერთის მხრივ ----------
----------(შემდგომში "შემსყიდველი")
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ----------
----------(შემდგომში "მიმწოდებელი")
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)
შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ
შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ---------- ----------

(მომსახურების მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და - მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება")

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი
2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დოკუმენტაციის
2.1 პუნქტში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. სტანდარტები
3.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- ვადაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი) ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით) (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს -----(----------) კალენდარული დღის ვადაში).

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

11.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს
თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს
შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით
მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 13 კალენდარულ დღეს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება

წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2012 წლის ---------- მდე მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
---	---